ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 32

სხდომის ჩატარების დრო:
31 მაისი, 2023 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი
თვითმმართველობის შენობა.
რუსთაველის გამზირი N3

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თეა ჯუღელი.**

ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **თეა ჯუღელი**
იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრები:
დიმიტრი მხეიძე, გია ბასილაძე, პაატა ლილუაშვილი, ბაქარ მახარაძე, ბექა ქებულაძე, კახა გაბუნია, ლაშა შალამბერიძე, რომან ქვაჩაკიძე.

სულ: 9 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ბატონი ირაკლი შენგელია**, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარეში არსებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსი **ბატონი დემურ ინანეიშვილი**, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი **ბატონი ლაშა გვენეტაძე,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი **ბატონი გიორგი კილაძე.**

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების დამტკიცების შესახებ

2. საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის № 34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 9 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდა კომისიის წევრი: ხათუნა არველაძე, თედო მესხი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების დამტკიცების შესახებ“**

ზემოაღნიშნული საკითხზე დადგენილების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა **ირაკლი შენგელიამ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ირაკლი შენგელიამ** აქვე განმარტა: - „დიდი ხანია ჩვენი პარტნიორების, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან, მათ შორის საკრებულოს საქმიანობის შეფასებისას ყოველთვის დღის წესრიგში იდგა ეს საკითხი და ჰქონდა თავისი შინაარსიდან გამომდინარე იმპერატიული მოთხოვნებიც კი. ზოგადად, ეს საკითხი ეხება იმ პრინციპებს, რომელიც ყველამ კარგად ვიცით და გათავისებული გვაქვს საჯარო პირის ვალდებულებებიდან გამომდინარე. ამ დოკუმენტში არაფერია იმ ვალდებულებებზე მეტი ნათქვამი, რაც რეალურად არსებობს პოლიტიკური თანამდებობების, საჯარო პირების მიმართ. წინა მოწვევის საკრებულოში ჩვენ გვქონდა ამ საკითხზე გარკვეული სახის მსჯელობა/დისკუსია სხვადასხვა ფორმატში, მათ შორის გენდერული თანასწორობის საბჭოს ფორმატში, ასევე ოპოზიციურ სპექტრთანაც იყო მსჯელობა და შევთანხმდით, რომ ეს არის პოლიტიკური შეთანხმება, ერთგვარი დეკლარირება ჩვენი პრინციპებისა და სტანდარტების და ამ პროცესზე პოლიტიკური აქტორების შეთანხმების გამოხატვა. ეს დოკუმენტი არის ჩვენი საერთო შეთანხმება და მათ შორის მმართველი პოლიტიკური გუნდის ინიციატივა საკრებულოში, რომელიც განაპირობებს ჩვენს პოლიტიკურ მზაობას ამ საკითხების ირგვლივ, სრულად გავემიჯნოთ არაეთიკურ, დისკრიმინაციულ, შეურაცხმყოფელ განცხადებებს.

ამიტომ გთხოვთ მხარი დაუჭიროთ ამ საკითხს და ვფიქრობ ამით მოვახდენთ ჩვენი შეთანხმების დეკლარირებას.“

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

დიმიტრი მხეიძე: - „მივესალმები ამ დადგენილებას, ეს აუცილებლად გადაჭრის ბევრ პრობლემას, მით უფრო ამ პოლიტიკურ ადუღებულ სამყაროში. უფრო ადრეც რომ ყოფილიყო კარგი იქნებოდა, მაგრამ სჯობს გვიან ვიდრე არასდროს.“

ლაშა შალამბერიძე: - „თქვენ როგორც ახსენეთ, ნამდვილად, ეთიკის ნორმები უნდა დავიცვათ და თავი შევიკავოთ ჰომოფობიური თუ სექსისტური განცხადებებისგან, მაგრამ ამ ყველაფრის აღსრულება როგორ მოხდება? ვფიქრობ შემდგომისთვის უნდა დავხვეწოთ ამ კუთხით ეს დოკუმენტი“

ირაკლი შენგელია: - „სამწუხაროდ, გარდა ორგანული კანონის მოცემულობისა, ჩვენ ვერ შევქმნიდით ცალკე დოკუმენტს, რომლითაც უხეშად რომ ვთქვათ, დავსჯიდით გადაცდენის მქონე დეპუტატს. ამას არეგულირებს საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, არსებობს შესაბამისი კრიტერიუმები, რის გამო შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს საკრებულოს წევრს, იქ ამ მექანიზმების მიღმა, რომელიც ასახულია, სხვა არაფერი არ წერია. შესაბამისად, ჩვენ ახალს ვერ მოვიგონებდით, აღსრულების ნაწილი სუსტია, მაგრამ პასუხისმგებლობის ნაწილი არ შეიძლება მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დარეგულირდეს, ეს არის სხვადასხვა სექტორალური მუშაობის საკითხი. თუმცა ჩვენ უნდა ვიფიქროთ აღსრულების მექანიზმებზე, მათ შორის საკრებულო და შესაბამისი დარგობრივი კომისია შესაძლებელია იყოს ინიციატორი იგივე საკანონმდებლო სექტორთან, მულტიპროფილურად დაიწყოს მუშაობა, მათ შორის საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესებაზე. შეგვიძლია ინიციატივაც მოვამზადოთ ადგილობრივი თვითმმართველობის კომიტეტის ფარგლებში და გახდეს ადგილობრივი ხელისუფლება ამ პროცესის ინიცირების ავტორი. ეს ის საკითხია, რომელზეც პოლიტიკური სპექტრი თანხმდება.“

თეა ჯუღელი: - „აქვე მინდა დავამატო, რომ როცა დონორებთან გვქონდა შეხვედრა გავაჟღერეთ სურვილი, თუ ამ საკითხში დაგვეხმარებიან კარგი იქნება. ვინაიდან საჭიროა უცხოური გამოცდილების პრაქტიკის და კანონმდებლობის ანალიზი იმისათვის რომ აღსრულების მექანიზმი იქნას შემუშავებული. ასევე ვიცით ყველამ რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი უკვე საჭიროებს ცვლილებებს და ამაზე საუბრები დაწყებულია, თუმცა სრულად ვერ გადაჭრის საკითხს. ჩვენ გასულ წელს საჯარო სამსახურის ბიუროსგან მივიღეთ პოლიტიკური თანამდებობის პირებისათვის ეთიკის სახელმძღვანელო, რომელიც შემუშავებულია სამეცნიერო ჯგუფის მიერ და საერთაშორისო პრაქტიკაც კარგად არის იქ გაანალიზებული. ამ საკითხზე საჭიროა უფრო მეტი მუშაობა და უფრო გლობალური კუთხით ამის დანახვა, რადგან გასათვალისწინებელია ბევრი რამ.ამ ეტაპზე არსებული საკანონმდებლო ჩარჩოებიდან რაც შეიძლებოდა არის ის ყველაფერი ასახული ამ დადგენილებაში, თუმცა ვიმეორებ საჭირო არის უფრო ქმედითი აღსრულების მექანიზმი , ეს კი საჭიროებს საკანონდემბლო დონეზე რიგ ცვლილებებს და საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზს.“

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 9 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიების წევრები: თედო მესხი, ხათუნა არველაძე.

ღია კენჭისყრით, (მომხრე - 6, თავი შეიკავა - რომან ქვაჩაკიძემ, კახა გაბუნიამ, ლაშა შალამბერიძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს დადგენილების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების დამტკიცების შესახებ“;

მუხლი 2. დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეორე საკითხის- **საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის № 34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნული საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსმა, ბატონმა **დემურ ინანეიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **დემურ ინანეიშვილმა** აქვე განმარტა: ეს ორი მუხლი ემატება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს, კერძოდ 166[2] და 172-ე მუხლები. პროექტის მიხედვით, ა(ა)იპ ქუთაისის მუნიციპალურ ინსპექციას მიენიჭა უფლებამოსილება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დააკისროს იმ პირებს, ვინც მოახდენს მოედანზე, გზაზე, პარკში, სკვერში, მიწისქვეშა გადასასვლელში განთავსებული ინფრასტრუქტურის/ინვენტარის, საზოგადოებრივი სარგებლობისთვის განკუთვნილი სხვა ობიექტის, მათ შორის, საგზაო ნიშნის, შუქნიშნის, გარესამეთვალყურეო კამერის, განზრახ დაზიანებას ან განადგურებას, საზოგადოებრივი ტრანსპორტის განზრახ დაზიანებას ან

საზოგადოებრივ ტრანსპორტში არსებული ინვენტარის განზრახ დაზიანებას ან განადგურებას.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ბატონი **ბაქარ მახარაძე:** - „რამდენს ითვალისწინებს ჯარიმა?“

ბატონი **დემურ ინანეიშვილი:** -„არასრულწლოვნის წარმომადგენელზე 100-დან 300 ლარამდე, სრულწლოვანის მიერ სამართალდარღვევის პირველად ჩადენის შემთხვევაში 300 ლარი, ხოლო მეორედ ჩადენის შემთხვევაში 500 ლარი ან 5 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა.

ბატონი **ლაშა გვენეტაძე:** -„მაგას ალბათ სამოქალაქო სარჩელი მოჰყვება, თუკი ვინმეს კერძო ინსფრასტრუქტურა დააზიანა ის უჩივლებს ზიანის ანაზღაურებაზე.“

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 9 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თედო მესხი, ხათუნა არველაძე.

ღია კენჭისყრით, (მომხრე - 6, თავი შეიკავა - რომან ქვაჩაკიძემ, კახა გაბუნიამ, ლაშა შალამბერიძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს დადგენილების პროექტი საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის № 34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მუხლი 2. დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე
თეა ჯუღელი